



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 7 20 00325150



01/04/2020

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში საქმისწარმოების განსხვავებული წესის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების მე-7 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2020 წლის 1 აპრილის N324183 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. საქართველოში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) საქმისწარმოების პროცესი განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. დოკუმენტების მიღება და გაგზავნა შესაძლებელია სამინისტროს ელექტრონული ფოსტის – doc.info@mes.gov.ge (შემდგომში - ელექტრონული ფოსტა) გამოყენებით, ან მატერიალური ფორმით (მათ შორის, „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით) ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

2. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული დოკუმენტების მიღება ხორციელდება სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომლების მიერ, დოკუმენტების ჩამოტვირთვისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის – eflow-ს სისტემაში დარეგისტრირების გზით.

3. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული მოქალაქეთა განცხადებები/წერილები და თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს დასკანერებული (ხელმოწერილი), გამოგზავნილ შეტყობინებაზე მიბმული სახით და თან უნდა ახლდეს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია საქმისწარმოების სამმართველოს მიერ არ დარეგისტრირდება.

4. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული იურიდიული პირების განცხადებები/წერილები და თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესრულებული და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული პირის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე/ბლანკზე.

5. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის - eflow - სისტემაში მომზადებული პასუხები სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩამოიტვირთება და იგზავნება სათანადო ადრესატთან შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე.

6. სამინისტროში მატერიალური ფორმით, მათ შორის, „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით შემოსული დოკუმენტები მიიღება, რეგისტრირდება და მათზე პასუხები მატერიალური ფორმით გაიცემა მხოლოდ ორშაბათსა და ხუთშაბათს, ხოლო თუ აღნიშნული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს – მომდევნო სამუშაო დღეს.

7. მოკითხვამდე და „საქართველოს ფოსტის“ მიერ დაბრუნებულ დოკუმენტებზე განმცხადებლებთან SMS შეტყობინებები სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომლების მიერ გაიგზავნება მხოლოდ ორშაბათსა და ხუთშაბათს, ხოლო თუ აღნიშნული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს – მომდევნო სამუშაო დღეს.

8. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადაში „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის „საქმისწარმოების ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 21 მარტის N243 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის „საქმისწარმოების ინსტრუქცია“ მოქმედებს იმ ფარგლებში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ამ ბრძანებით გათვალისწინებულ დებულებებს.

მუხლი 2. ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ იურიდიულ პირებზე.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

